ინსტრუქცია გამოსაცდელებისათვის (საცდელი ტესტირება)

პროფესიული ტესტირების გავლისათვის აუცილებელია ავტორიზაცია.

ავტორიზაციის გვერდზე გაეცანით ინსტრუქციას, რომლის ბმულიც პაროლის ველის ქვევითაა მოცემული. პირადი ნომრის ველში ჩაწერეთ საკუთარი პირადი ნომერი, პაროლის ველში ჩაწერეთ „test" (ბრჭყალების გარეშე), მონიშნეთ უჯრა - „გავეცანი ინსტრუქციას და მზად ვარ დავიწყო ტესტირება" და ამის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „შესვლა".



გაიხსნება ტესტების ჩამონათვალის გვერდი. ამ გვერდზე მოცემულია იმ ტესტების ჩამონათვალი, რომლებზეც მიმდინარე საგამოცდო დღეს ხართ დარეგისტრირებული. საცდელი ტესტირებისას გამოჩნდება მხოლოდ ერთი ბანერი - „საცდელი ტესტი".



ეკრანზე განთავსებულია შემდეგი ელემენტები:

1. გამოსაცდელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი - **გადაამოწმეთ თქვენი სახელის, გვარისა და პირადი ნომრის სისწორე;**
2. პროგრამიდან გამოსვლის ღილაკი - მისი საშუალებით ხდება პროგრამიდან გამოსვლა;
3. მიმდინარე საგამოცდო დღეს ჩასაბარებელი ტესტების ჩამონათვალი. საცდელი ტესტირების დროს იქნება მხოლოდ „საცდელი ტესტი“;
4. ტესტირების დაწყების ღილაკი - ამ ღილაკის საშუალებით გადავდივართ ტესტის დავალებებზე და იწყება ტესტირების დროის ათვლა.

დააჭირეთ ღილაკს „დაწყება“.
ტესტის დავალებების გვერდი:



ტესტის დავალების გვერდი შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

1. ტესტის დასახელება (საგანი);
2. გამოსაცდელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
3. მიმდინარე დავალების ნომერი - დავალებების რაოდენობა ტესტში;
4. ტესტირების დასრულებამდე დარჩენილი დრო;
5. ინდიკატორი გვიჩვენებს საგამოცდო სერვერთან კავშირის არსებობას;
6. დავალების პირობა;
7. სავარაუდო პასუხების ჩამონათვალი;
8. „ + “ და „ – „ ღილაკების საშუალებით შესაძლებელია დავალებისა და სავარაუდო პასუხების ტექსტის გადიდება-დაპატარავება;
9. წინა დავალებაზე დაბრუნება;
10. შემდეგ დავალებაზე გადასვლა (შესაძლებელია როგორც სავარაუდო სწორი პასუხის მონიშვნის შემდეგ, ისე პასუხის მონიშვნის გარეშეც);
11. ნავიგაციის პანელი. პანელის ღილაკების საშუალებით შესაძლებელია ღილაკის ნომრის შესაბამის დავალებაზე გადასვლა. პანელში მოცემულია ტესტის დავალებების ნომრები სხვადასხვა ფერის ფონზე:
    - გამჭვირვალე ფონით აღნიშნულია ის დავალებები, რომლებიც ჯერ არ დაგითვალიერებიათ;

- ლურჯი ფონით აღნიშნულია მიმდინარე დავალება;
- ღია წითელი ფონით აღნიშნულია ის დავალებები, რომლებიც დაათვალიერეთ, მაგრამ პასუხი არ არის მონიშნული;
- მუქი წითელი ფონით აღნიშნულია დავალებები, რომლებზეც უკვე მონიშნულია პასუხი.

ტესტი შედგება 30 დავალებისაგან. ტესტირების ხანგრძლივობა 1 საათი და 30 წუთია. ყოველი დავალების პირობის გაცნობის შემდეგ მონიშნეთ სავარაუდო სწორი პასუხი და „შემდეგი“ ღილაკის საშუალებით გადადით მომდევნო დავალებაზე. შესაძლებელია დავალებაზე პასუხის მონიშვნის გარეშე გადასვლა სხვა დავალებებზე და შემდგომში დაბრუნება პასუხის მოსანიშნად ღილაკი „წინა“-ს ან ნავიგაციის პანელის ღილაკების საშუალებით.
ბოლო, 30-ე დავალებაზე პასუხის მონიშვნის, ან მონიშვნის გარეშე ღილაკზე „დაასრულე ტესტი“ დაჭერის შემდეგ ტესტირება დასრულებულია და პროგრამა დაბრუნდება ტესტების ჩამონათვალის გვერდზე.



საცდელი ტესტირება არ ფასდება, შესაბამისად, მიღებული ქულა არ გამოჩნდება.

შენიშვნა:
თუ ტესტირება არ გაქვთ დასრულებული და დრო არაა ამოწურული, ღილაკის „დაწყება“ ნაცვლად, გააქტიურებული იქნება ღილაკი „გაგრძელება“, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ტესტირების პროცესის გაგრძელება.
თუ ტესტირების პროცესში დრო ამოიწურა, ეკრანზე გამოჩნდება შეტყობინება დროის ამოწურვის შესახებ. დაადასტურეთ დროის ამოწურვა ღილაკზე „დადასტურება“ დაჭერით და დაასრულეთ ტესტირება.



საცდელი ტესტირების დროს მცდელობების რაოდენობა არაა შეზღუდული და შეგიძლიათ ტესტირების რამდენჯერმე გავლა.